KA030181839034420

№ 01-6065 **12 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს
მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში 2020 წლის 11 ივნისის მონაცემებით დაფიქსირებულია კორონავირუსის დადასტურებული 828 შემთხვევა, გამოჯანმრთელებულია 694, გარდაცვლილია 13. ამასთან, ყოველდღიურად სტაბილურად ფიქსირდება ერთეული ახალი შემთხვევები. ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიიდან მაქსიმალურად მცირე დაზიანებით გამოსვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

როგორც მოგეხსენებათ, სხვადასხვა სექტორული მიმართულებით სამინისტრო მუშაობს სამუშაო ადგილებზე კორონავირუსის პრევენციისთვის რეკომენდაციების შემუშავებაზე. ამ მიმართულებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბაზისური რეკომენდაციები ასევე, სავალდებულოდ გავრცელდეს სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინ შედგა სამუშაო შეხვედრა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის, ჯანდაცვის პოლიტიკის სამმართველოს და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით. შეხვედრაზე შეჯერდა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

1. სამინისტროს ყველა შესასვლელში უნდა იყოს განთავსებული დეზობარიერი, გაჯერებული შესაბამისი სადეზინფექციო სითხით;
2. სამინისტროს ყველა შესასვლელში შენობაში შემომსვლელი თანამშრომლებისა და სხვა პირებისთვის ყოველდღიურად უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი. ამასთან, ვინაიდან შემომსვლელთა ნაკადი მოცულობითია, მიზანშეწონილია ეს პროცესი განხორციელდეს ვიდეოდანადგარის მეშვეობით. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში პიროვნება არ უნდა იქნას დაშვებული სამინისტროს შენობაში;
3. საერთო სარგებლობის სივრცეებში განთავსებული უნდა იყოს ხელის სადეზინფექციო საშუალებები, შესაბამისი საინფორმაციო ბანერებით;
4. საერთო სარგებლობის სივრცეებში განთავსებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი სტიკერები, სავალდებულო დისტანციის უზრუნველსაყოფად;
5. საერთო სარგებლობის სივრცეებში (ლიფტი,დერეფანი) სავალდებულოა ნიღბის ტარება;
6. სველი წერტილების დასუფთავებისა და ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავება უნდა განხორციელდეს ინტენსიურად. ამასთანავე სველ წერტილებში რეკომენდირებულია თხევადი საპნისა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცებით უზრუნველყოფა;
7. დახურულ სივრცეებში უნდა ხდებოდეს ბუნებრივი ვენტილაცია. ხელოვნური ვენტილაციის არსებობის შემთხვევაში, უნდა ხდებოდეს გარე სივრციდან ჰაერის შემოტანა გაზრდილი კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით, ასევე უნდა ხორციელდებოდეს საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
8. საერთო სარგებლობის სივრცეებში უნდა გამოიკრას ინფორმაცია COVID-19- თან დაკავშირებით, ხოლო სველ წერტილებში - ხელის დაბანის ინსტრუქციები;
9. დამლაგებელი მიზანშეწონილია აღჭურვილი იყოს შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ნიღაბი; სპეც-ფორმა; ხალათი სრული სახელოებით; სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი); თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი); დახურული სპეც-ფეხსაცმელი;
10. ლიფტებში უნდა დაწესდეს შეზღუდვები პირთა რაოდენობაზე. ფართობიდან გამომდინარე, კერძოდ, მცირე ზომის ლიფტებში დაიშვება არაუმეტეს სამი პირი, ხოლო დიდი ზომის ლიფტებში არაუმეტეს 5 პირი. აღნიშნული მოინიშნოს შესაბამისი სტიკეტრებით. ამასთან, ლიფტებში სავალდებულოა ნიღბის ტარება. აღნიშნული რეკომენდაცია უნდა გამოიკრას ლიფტებთან თვალსაჩინოდ;
11. დამატებით კარგი იქნება თუ მოხერხდება ლიფტის ღილაკებზე სენსორების დამონტაჟება;
12. მოხელეებს უნდა მიეცეთ მკაცრი რეკომენდაცია, რომ არ გამოცხადნენ სამსახურში ცხელების და/ან რესპირატორული ინფექციის ნიშნების დაფიქსირების შემთხვევაში, მიზეზის გარკვევამდე;
13. მიზანშეწონილია სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების გადაწყვეტილების შესაბამისად, მოხელეთა ნაწილს (ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სხვა ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით)

შეუნარჩუნდეს დისტანციური მუშაობის რეჟიმი;

14. მაქსიმალურად შეიზღუდოს სამუშაო შეხვედრები ადგილზე 10 პირზე მეტი პირის მონაწილეობით. ამასთან, შეხვედრის გამართვისას, დაცული უნდა იყოს დამსწრეთა შორის დისტანცია (არანაკლებ 1 მეტრი) და ამასთან, ყველა პირს უნდა ეკეთოს პირბადე. მიზანშეწონილია შეხვედრების მაქსიმალურად დისტანციურ რეჟიმში ჩატარება;

15. ყველა თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სამუშაო სივრცის (მაგიდა, კომპიუტერი, ტელეფონი) დასუფთავება სველი წესით ხშირად;

16. საერთო სარგებლობის სივრცეებში უნდა იყოს დახურული კონტეინერი (სასურველია ფეხის პედლის შესაძლებლობით) სხვადასხვა ნარჩენებისთვის, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პარკი;

17. ასევე, როგორც მოგეხსენებათ, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ყველა საჯარო და იურიდიულ პირს აქვს შრომის უსაფრთოების სპეციალისტის დანიშვნის ვალდებულება.

ხაზგასასმელია, ასევე, სამინისტროს შენობაში სხვადასხვა კლინიკის წარმომადგენელთა მოძრაობის (შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის მიზნით) საკითხი. მიზანშეწონილია, აღნიშნული პირების მიღება მოხდეს დადგენილი გრაფიკით, კვირის გარკვეულ დღეს, შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

ასევე, მოგახსენებთ, რომ უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი და მიზანშეწონილია იგი დაევალოს ადმინისტრაციას და/ან შრომის ინსპექტირების დეპარტამენტს.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას. თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია